საქართველოს მთავრობის

დადგენილება №258

2018 წლის 29 მაისი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – „კარტოფილის კიბოს კონტროლის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის №305 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2017 წლის 7 დეკემბრის №1620-რს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – „კარტოფილის კიბოს კონტროლის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის №305 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/06/2015, 300160070.10.003.018690) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – „კარტოფილის კიბოს კონტროლის წესის“:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

გ) ცენტრი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;“.

2. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კარტოფილის წარმოების ადგილზე პათოგენის არსებობაზე ეჭვის შემთხვევაში, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ უნდა ჩატარდეს სახელმწიფო კონტროლი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**